

მდ.დურუჯის ღვარცოფული პროცესების მიზეზები და ღვარცოფული ჩამონატანის პეტროგრაფიული დახასიათება

დავით ცუცქერიძე

dvddato@gmail.com

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ლანდშაფტურ-გეომორფოლოგიური ზონებიდან, ძლიერ საშიში ღვარცოფული პროცესების გამოვლინების თვალსაზრისით გამოირჩევა მდინარე დურუჯის ხეობა; ხეობაში განვითარებული ღვარცოფული მოვლენები მოსახლეობისათვის ხშირად დიდი ტრაგედიის მომტანია; პირველი ძლიერ დამანგრეველი ღვარცოფი 1932 წელს დაფიქსირდა; შემდგომში ღვარცოფი პერიოდულად განმეორდა: 1889, 1904, 1949, 1990, 2002 წლებში; 1940 წლის ღვარცოფმა დიდი მატერიალური ზარალისა და ადამიანური რესურსების განადგურება გამოიწვია; 1949 წლის ღვარცოფმა ყაზარმაში მცხოვრები ბერლინის აღებაში მონაწილე სამხედრო-საავიაციო ნაწილის 56 ადამიანის სიცოცხე იმსხვერპლა, მათგან 54 პილოტი იყო.

ღვარცოფების კერების ფორმირება ხდება მდ, დურუჯის შენაკადების სათავეებში ალპურ და ნივალურ-გლაციალურ ზონაში, რთული ტექტონიკური აშლილობის პირობებში; დურუჯის ღვარცოფული კერების ფორმირებისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის ხელშემწყობ პირობებს ქმნიან:

- რეგიონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილე ლითოლოგიურად არაერთგვაროვანი და ტექტონიკური პროცესებით ძლიერ დისლოცირებული ქვედა /პლინსბახურ-ტოარსული/ და შუა იურული /აალენური/ ასაკის თიხაფიქლები და ქვიშაქვები;
- აგრესიული გამოფიტვითი აგენტები: თავსხმა წვიმები, მყინვარებისა და თოვლის დნობის წყლები, მიწისქვეშა წყლები, კლიმატის ანომალური ცვალებადობა
- ციცაბოდ დახრილი რელიეფი და ინტენსიურად დანაწევრებული მდინარეთა ხეობები

ჩვენს მიერ, დურუჯის ღვარცოფული ჩამონატანიდან და ძირითად გაშიშვლებებიდან აღებული ნიმუშები შესწავლილი იქნა თანამედროვე OMAX-ის ტიპის პოლარიზაციული მიკროსკოპის დახმარებით; ქანების თხელ ანათალში დეტალური პეტროგრაფიული შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ღვარცოფულ ჩამონატანის ქანები ძირითადად ალევრიტიანი თიხაფიქლებით და სხვადასხვა მარცვლოვნების მქონე არკოზული პოლიმიქტური ქვიშაქვებით არის წარმოდგენილი; ღვარცოფულ ჩამონატანი მაგმური ქანის ნატეხებს არ შეიცავს.